პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

ნია გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის მიზანი: შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებთან შესაბამისობის შემოწმება.

საფუძველი: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 07 ივნისის ბრძანება N466.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

ექსპერტებმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;
- დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის შემოწმება;
- ვებ გვერდის შემოწმება;
- პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება;
- პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსების შემოწმება;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ექსპერტების ვიზიტის დროს, გადამოწმდა ასევე წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხი, აღმოჩნდა რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

ვიზიტისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ნია გუგუნავას მიერ დადგინდა, რომ არსებული რეკომენდაციების გამოსწორებით და პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

ზღვრული რაოდენობის გაზრდით, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

	ხარისხის გასაუმჯობესებლად.			
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპისგან: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე. დაწესებულება გამოკითხვებს აწარმოებს ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (LMB), რომლის შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ქმნის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორების, სკოლის პერონალისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფს ანალიზის პროცესი მოიცავს: სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის გაანალიზებას; გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას; მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

არ არსებობს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

VII. დაწესებულების მისია

GIPA ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს წარმატებული თანამშრომლობის გამორჩეული მაგალითია. ჩვენი პირდაპირი დანიშნულებაა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა. ამ მისიის შესასრულებლად, GIPA ქმნის და სტუდენტებს გადასცემს ახალ ცოდნას დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებებისა და თავისუფლების იდეალების დასამკვიდრებლად. მოწოდებულნი ვართ, მოწინავე როლი სწავლებაში გავაძლიერეოთ საერთაშორისო მნიშნელობის მქონე კვლევითი საქმიანობით და აკადემიური და პროფესიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში დანეგრვით, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეების გაძლიერებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის - ინსტრიტუტის რექტორის მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობას, უკვე მიმდინარე პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას, GIPA ადასტურებს ჩატარებული კვლევის შედეგებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25 კომპანიამ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორიდან. ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA), რაც ითვლისწინებს იმ დირექტივების ამუშავებას, რაც უშუალოდ ეხება ევროკავშირის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს მართვის მოთხოვნების შესაბამისობას. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიმუშავებული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ. ამ კანონის ამუშავება ზრდის შრომის ბაზის მოთხოვნას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თავი XI. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების, მუხლი 3. მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაის და დამტკიცების პროცედურებს. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა, პროგრამის გადამუშავება/ადაპტირება ხორციელდება მასწავლებლებისა და პროგრამების ხელმძღვანელის მიერ. პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგის მიღწევების მეთოდები, პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამით გათვალისწინებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შესახებ პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით. დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.და მოდულები, პროგრამა შედგება 3 ზოგადი და 21 პროფესიული მოდულისაგან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის ადაპტირებული მოდულები.

პროგრამის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობისთვის GIPA-ს ამ ეტაპზე ჰყავს შემდეგი პარტნიორები:

1. შპს .ურბანა ;
2. შპს."აბტ ინტერნეიშენალ";
3. შპს."აუტო ტესტ გეორგია" ;
4. შპს."იუ-ჯი-თი" ;
5. შპს.''მაზა დეველოპმენტ" ;
6. შპს. ,,გეოკაპიტალი'';
7. შპს."სოკარ ჯეორჯია პეტროლიუმი" ;
8. შპს.საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

9. შპს.CBD Development ;
10. შპს."ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" ;
11. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო(MEPA);
12. სს. სილქნეტი;
13. საქართველოს შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
14. შპს რომპეტროლი;
15. შპს რუსთავის აზოტი;
16. შპს ენ-არ-სი ინტერნეიშენალ სერვისის წარმომადგენლობა საქართველოში;

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელიც მიზნად ისახავს პარტნიორების მხრიდან პროფესიული პროგრამის შემუშავებაში ჩართულობას, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, პროგრამის აქტიური განხორციელების ხელშეწყობას და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას, მემორანდუმებში მითითებულია პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობები, რომელთა დაჯამებითაც დგინდება, რომ პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

განხორციელდა პარტნიორ დაწესებულებებში ვიზიტი შერჩევითი პრინციპით, ეს დაწესებულებებია: შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია და შპს სოკარ ჯეორჯია პეტროლიუმი .

ექსპერტთა შეფასებით პარტნიორი დაწესებულებების დამოკიდებულება და განწყობა დამაკმაყოფილებელია, გასაუბრებით გაირკვა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ადგილზე შემდეგი ქმედებები: პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა, პროფესიული სტუდენტების შეფასება და სხვა. საწარმო მოახდენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას მატერიალური და ადამიანური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი, რომელიც დაარეგულირებს პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და მოდულებით;
- რექტორის ბრძანებებით პროგრამის ცვლილებებით დამტკიცების შესახებ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- რექტორის ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ N 01-18/089-1, 31 მაისი 2018წ;
- ჩარჩო დოკუმენტებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც არის ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელიც განთავსებულია პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის ვებ-გვერდზე, კატალოგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

კატალოგებში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დაწესებულების კატალოგი განახლებულია 2019 წელს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის კატალოგით;
- https://gipa.ge/
- https://gipa.ge/res/docs/Catalog26.06.2018-converted-converted.pdf

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნულ წესში ცალკე თავად მოცემულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის მინიჭება ხდება დაწესებულების რეგულაციისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. ასევე, გადამოწმდა სტატუსშერებული და სტატუსშეწყვეტილი ემისის ბაზით, პროცედურა შესაბამისობაშია მარეგულირებელ წესთან და მიმდინარეობს მისი სრული დაცვით.

მონაცემები შეტანილია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

პროფესიულ სტუდენტებთან განხორციელდა გასაუბრება: პროფესიული სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობით, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურებით, უნივერსიტეტის მატერიალური-ტექნიკური ბაზით, პროფესიული სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და შინაგანაწესის ჩანაწერების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- რექტორის ბრძანებით შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა მიღების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეებით;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდით www.gipa.ge.
- evet.emis.ge;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან პროფესიული სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება უნივერსიტეტის მობილობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ დადასტურებეული შედეგების აღიარებით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან", რომლის თანახმადაც: ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ხელი შეუწყონ სტუდენტებს ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში მობილობის განხორციელებაში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული მისაღები რაოდენობის ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა" და შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

[ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები. სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპისგან: **დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე.**

სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა
გარე და შიდა ფაქტორები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებითა და ანალიზით;
2. სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებითა და ანალიზით.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას და ანალიზს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორის ლექციებზე
და გამოცდებზე დასწრებით;
2. პროგრამის კოორდინატორების/ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის
შესახებ ლექტორებთან მუდმივი უკუკავშირის წარმოებით;
3. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროფესორებისა და სხვა მოწვეული ლექტორების ლექციებსა და გამოცდებზე კოლეგიალური დასწრებით, რომელსაც, ასევე ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მონიტორინგით.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასებისა და ანალიზისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ მეთოდოლოგიას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

1.**გამოკითხვები და ანგარიშგება.**

- გამოკითხვა გულისხმობს, სტუდენტების, ლექტორების და სხვა მხარეების გამოკითხვას

საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, ლექტორის/პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის შეფასებას დადგენილი ფორმის შესაბამისად.

- **ანგარიშგება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე მხარეების მიერ სხვადასხვა ანგარიშების ჩაბარებას, რაც მოიცავს:**

ა) პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ შედგენილი სასწავლო პროცესის შესახებ სემესტრულ ანგარიშს;

ბ) აკადემიური პერსონალის მიერ შევსებული პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმას;

გ) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ფოკუს ჯგუფის ანგარიშს;

ჯვარედინი შეფასების დროს ფასდება:

საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელების შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ქმნის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორების, სკოლის პერონალისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფს ანალიზის პროცესი მოიცავს: სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის გაანალიზებას;

სხვადასხვა პროგრამებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას; მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

ვიზიტის მიმდინარეობისას, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების პროცესის თვალსაჩინოდ წარმოსახვის მიზნით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტების მიერ პირველი-მეორე სემესტრის ბოლოს შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზი და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის დახასიათების ანგარიში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის შეფასების კითხვარები, მიზნად ისახავს სტუდენტთა ცოდნის დონის გამოვლენას მოდულის დასრულების შემდეგ და გაგებას, თუ რამდენად იყვნენ ჩართულები სტუდენტები სასწავლო პროცესში.

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული პროგრამის კოორდინატორის მიერ შესავსები კითხვარის ნიმუშიც, პროფესიული პროგრამის კოორდინატორის მიერ მიღებულ გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს სტუდენტთა მიერ შევსებულ ელექტრონული კითხვარების და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის დახასიათების ანგარიშის ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დასკვნის სახით წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების ნუსხას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დასკვნის სახით წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების ნუსხას. უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს დასაქმების ბაზრის კვლევას იმის დასადგენად, თუ რამდენად მოთხოვნადია აღნიშნული პროფესია, რეალობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, აწარმოებს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, მათი გამოკითხვის გზით იკვლევს და აანალიზებს იმ მიზეზებს, რომლებმაც კურსდამთავრებულებს პრობლემა შეუქმნა დასაქმების პროცესში. კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და ანალიზის შედეგებს უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან იმის შესახებ, თუ რა არის თითოეული მიმართულების მიზანი და როგორ ახორციელებენ პრაქტიკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზებით;
- კოორდინატორის მიერ შევსებული კითხვარების ანალიზებით;
- პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზებით;
- ფოკუს ჯგუფების ანგარიშებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ სასწავლო პროცესს ახორციელებს შემდეგ მისამართებზე:

1) ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9 (საკადასტრო კოდი [redacted]), შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1 271, 85 კვ.მ., შენობის მეორე მხარე(მეორე გასასვლელის კუთხე) განთავსებულია ქ. თბილისი, ავლევის ქ. №21 (საკადასტრო კოდი [redacted]) - საერთო ფართით 382,02 კვ.მ, ამ ფართში განლაგებულია აღნიშნული პროგრამის ე.წ. C გარემო და სამედიცინო ოთახი.

2) ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №2 (საკადასტრო კოდი [redacted]) - შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 779 კვ.მ; რომელიც საკუთრებაშია აქვს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“. იეთიმ გურჯის ქუჩაზე მდებარე ფართი დაწესებულებას აღებული აქვს იჯარით, 7 წლის ვადით. პროფესიული პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დაწესებლება ახორციელებს შემდეგ მისამართზე - ბროსეს ქ. №2 , იეთიმ გურჯის ქ. №9 და ავლევის ქ. №21 ;

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9 /ავლევის ქ. №21	შენობა-ნაგებობა - 1271, 85 კვ.მ / შენობა-ნაგებობა - 382,02 კვ.მ
2	ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2	შენობა-ნაგებობა - 779,00 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი იძლევა საშუალებას სწავლება განხორციელდეს შეუფერხებლად ორ ცვლაში 96 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებებით;
- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი: პროფესიული პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”:

იეთიმ გურჯის ქ. №9-ში და ავლევის ქ. №21 -ში მდებარე კამპუსში #101 აუდიტორიაში (A და C გარემო, საერთო ფართი 62,62 კვ.მ.) განთავსებულია - 11 ორადგილიანი და 4 ერთადგილიანი მერხი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, A1 მრავალფუნქციური პრინტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, 6 კარადა, აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა, მათ შორის ცეცხლსაქრობი სასწავლო სისტემა.

ბროსეს ქ. №2-ში მდებარე კამპუსში პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ორი სასწავლო აუდიტორია №5 და №6 (საერთო ფართი 69,016 კვ.მ), სადაც განთავსებულია „A“ და „B“ ტიპის სასწავლო გარემო. #5 აუდიტორიში განთავსებულია - 11 სამადგილიანი მაგიდა, 33 სკამი, 24 ლეპტოპი, 1-პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი. ხოლო, №6 აუდიტორია აღჭურვილია - 9 სამადგილიანი მაგიდით, 25 სკამით, 1 პროექტორით, 1 პროექტორის დაფით, 1- პორტატული კომპიუტერით,მასწავლებლის მაგიდით და სკამით.

დაწესებულებას პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების შედეგად (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის N17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

გადაწყვეტილებით) უფლება ჰქონდა აღნიშნულ პროგრამაზე მიეღო 40 პროფესიული სტუდენტი, ამ ეტაპზე დამატებით ითხოვს 56 პროფესიული სტუდენტის მიღების უფლებამოსილებას. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი იძლევა საშუალებას სწავლება განხორციელდეს შეუფერხებლად ორ ცვლაში 96 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო.

იეთიმ გურჯის ქ. №9-ში და ავლევის ქ. №21-ში მდებარე კამპუსში დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ მუშაობა. სველი წერტილები განლაგებულია ოთხივე სართულზე. ასევე მეორე სართულებზე არის სველი წერილი სსსმ პირებისათვის. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

ბროსეს ქ. #2-ში მდებარე კამპუსში დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ მუშაობა. არის სველი წერტილები. ასევე მეორე სართულებზე არის სველი წერტილი სსსმ პირებისათვის. შენობაში ყველა ოთახში დამონტაჟებულია გათბობის საშუალებები;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოძრავი ქონების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმეტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9 - ბიბლიოთეკაში (სამკითხველო სივრცით) განთავსებულია სამკითხველო დარბაზი, ინტერნეტში ჩართული ნოუთბუქები და კომბაინი.

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ყველა საწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ნაბეჭდი სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

ადგილზე. ბიბლიოთეკარს აქვს ბიბლიოთეკარად მუშაობის გამოცდილება, რაც დაწესებულებამ დაადასტურა შესაბამისი დოკუმენტით.

დაწესებულებას შეძენილი აქვს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა KOHA, რომესაც იყენებს პროფესიული პროგრამის მიზნებისთვის. KOHA ელ.კატალოგი მიბმულია ვებ.დომეინზე. lmb-ელექტრონული წიგნები

ბროსეს ქ. #2-ში მდებარე კამპუსში პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ მათთვის ელექტრონულად ატვირთული ყველა სასწავლო რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- საბიბლიოთეკო სისტემის KOHA-ს შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის განხორციელებისათვის მიღება - ჩაბარებით გადაცემული აქვს სულ 55 კომპიუტერი, ამ ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

პროგრამის ფარგლებში გამოიყენება 32 ცალი კომპიუტერი, აქედან ადმინისტრაციისათვის 4 ცალი, პროექტორი 4 ცალი, პროექტორის ეკრანი 4 ცალი, A3 მრავალფუნქციური პრინტერი 2 ცალი; კომპიუტერული კლასი აღჭურვილია 25 ლეპტოპით, აუდიტორიებში 3 ცალი კომპიუტერი, არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის შინაგანაწესით განისაზღვრება კორესპოდენციის, ბრძანებებისა და სხვადასხვა ხელშეკრულებების, აკადემიური საბჭოს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ოქმების მომზადებისა და სისტემატიზაციის პროცედურები, ასევე საარქივო საქმისწარმოების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის სკოლებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტბრუნვის წარმართვის წესები.

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

საქმისწარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით (ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა e.doc), რომელიც გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებასა და საქმისწარმოების პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის საჭირო პირობების უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის უნივერსიტეტი იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზას (LMB), რომელშიც აისახება პერსონალისა და სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

შესახებ ინფორმაცია, მათ შორის სტუდენტის სასწავლო ბარათი, მეცადინეობების განრიგი, სასწავლო მასალები, სტუდენტის უნივერსიტეტისადმი არსებული ფინანსური ვალდებულებები და სხვა მონაცემები.

უნივერსიტეტი დოკუმეტებს იღებს მატერიალური და ელექტრონული სახით. უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა ხდება უნივერსიტეტის საქმისწარმოებს მენეჯერის მიერ, რომელიც ახორციელებს დოკუმენტაციის რეგისტრაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალებით;
- გამოცემული აქტების - რექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების რექტორის 2018 წლის 28 მარტის N 01-18/087 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში თავი IV. ბიზნესუწყვეტობის მექანიზმები/გეგმის მუხლი 7. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები მოიცავს ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში პრევენციული და რეაგირების მექანიზმები შემუშვებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათ გათვალისწინებით, რაც მოიცავს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშვებას და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას; უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლების სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას; ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, მათ შორის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამართულ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფას; სტუდენტთა, თანამშრომელთა და სხვა პირთა საევაკუაციო გეგმების არსებობა, ასევე, სხვადასხვა ინვენტარისა და მათი გამოყენების ინსტრუქციების არსებობას; უნივერსიტეტის შენობებში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უსაფრთხოების მენეჯერების არსებობას; შენობებში არსებული სახანძრო სისტემებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გამართულობის პერიოდული შემოწმებების ჩატარებას; პერიოდულად საგანგებო სიტუაციების, კატასტროფული პროცესებისა და პირველადი დახმარების სიმულაციების ჩატარებას, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოსცადოს საგანგებო სიტუაციების მართვა და გააუმჯობესოს იგი. საგანგებო სიტუაციისას უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების დაზიანების შემთხვევაში რეაგირების პროცედურა გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას უნივერსიტეტის საკუთრებასა ან/და სარგებლობაში არსებულ სხვა შენობებში, მათ შორის სწავლების 3 ცვლაში დაგეგმვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ასევე შესაძლებელია საიჯარო ურთიერთობების გათვალისწინებით ალტერნატიული ფართის მოძიება სასწავლო პროცესების ამ ფართში გადატანის მიზნით.

2018 წელს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებს ჩაუტარდა ექსპერტიზა „სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება და მდგომარეობა განსაზღვრულია როგორც დამაკმაყოფილებელი.

დაწესებულების ორივე მისამართზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები. ყველა სართულზე გამოკრულია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიერ შემოწმებულია ყველა მისამართი და არსებობს შემოწმების აქტები.

შენობის ორივე მისამართზე ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა. შენობებს აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

პროფესიულ სტუდენტებს და დაწესებულების პერსონალს სამედიცინო დახმარების გასაწევად ორივე მისამართზე ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელებიც რექტორის ბრძანებით (26.02.2018) დანიშნულია სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირებად, რომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციაში დეტალურად არის გაწერილი ფუნქცია მოვალეობები, პირველადი სამედიცინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებაში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. გადამოწმდა მედიკამენტების მოქმედების ვადა.

დაწესებულების 24 თანამშრომელს ჩატარებული აქვს ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ორივე სასწავლო კორპუსის დერეფნები, აუდიტორიები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით, რომლებიც აღჭურვილია ჩანაწერების შენახვის ფუნქციით. წესრიგის დაცვას ახორციელებს დაცვის თანამშრომლები, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით;
- ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორატის სხდომის ოქმით: პირველადი დახმარების ტრენინგის ჩატარების შესახებ;
- ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორატის სხდომის ოქმის საფუძველზე ჩატარებული ტრენინგის ანგარიშით;
- რექტორის ბრძანება "ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ";
- რექტორის ბრძანება "ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სამედიცინო ნორმებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ";
- პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებით;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო:

კერძოდ, ქ. თბილისში, იეთიმ გურჯის 9-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში სსსმ პირებისათვის ადაპტირების მიზნით მოწყობილია - ავტოსადგომი და პანდუსი; ავტოსადგომიდან პანდუსის საშუალებით შესაძლებელია შენობაში შესვლა და გადაადგილება, მოწყობილია სანიტარული კვანძი.

ქ. თბილისში, ბროსეს ქ. №2-ში არსებული შენობა-ნაგებობა, ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია პანდუსის საშუალებით, ასევე, მეორე სართულზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილი.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №18/02 გადაწყვეტილებით) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების წესები (საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირის არსებობის შემთხვევში) ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას უნივერსიტეტის იმ შენობაში (ან მის ნაწილში), რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირებზე და შესაძლებლობას აძლევს მათ წვდომა ჰქონდეთ სწავლებისთვის საჭირო ყველა კომპონენტზე. ამავე წესებით ასევე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალური დაგეგმვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

ექსპერტთა შეფასებით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემო იძლევა შესაძლებლობას სსსმ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ სწავლებისთვის საჭირო ყველა კომპონენტზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შენობის ადაპტირება სსსმ პირებისათვის, შენობების კონსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ გარე ფასადის მხრიდან შესაბამისი ლიფტების მიშენებით. უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს აღნიშნული შენობის გარე ფასადის მხრიდან ლიფტის მონტაჟის პროექტი და დაწყებული აქვს პროცედურები მუნიციპალიტეტთან პროექტის შესათანხმებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პანდუსის მოწყობის შესახებ ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (2018 წლის 8 მაისი. №18/02);
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდი www.gipa.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

უნივერსიტეტის ისტორია, მისია, სტრუქტურა და ინფორმაცია დეპარტამენტებისა და ცენტრების, პროფესიული პროგრამების შესახებ, პროგრამების განმახორციელებელი ადმინისტრაციული რესურსის შესახებ; ინფორმაცია ტრენინგ კურსების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის/ელექტრონული რესურსების შესახებ, საერთაშორისო პარტნიორების შესახებ და ა.შ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gipa.ge ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 27 ივნისს;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- უნივერსიტეტის ვებგვერდით www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წლებისთვის და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. აღნიშნული პროფესიული პროგრამა განვითარების 7-წლიან სტრატეგიულ გეგმაში მოხსენიებულია, უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებში. ამავე გეგმაში მინიშნებულია, რომ პროფესიული განათლება ქვეყნის განსაკუთრებულ პრიორიტეტად ყალიბდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

უნივერსიტეტმა 2018 წელს დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიართულებით კვალიფიციურ კადრებს მოამზადებს.

7- წლიან სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიულ მიმართულებებს შორის აღსანიშნავია V მიმართულება - პროფესიული განათლება. როგორც ამ გეგმაში ვკითხულობთ: GIPA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით აღიარებს, რომ პროფესიული განათლების განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოკლე დროში ზრდის პროფესიონალებს და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს".

დაწესებულების 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი აქტივობების საბაზისო და სამიზნე ნიშნულები მომავალი 3 წლის განმავლობაში. თითოეულ აქტივობას შემსრულებლებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი ახლავს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს რომ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მეშვეობით აქტიური მარკეტინგული კამპანია აწარმოოს პროფესიულ განათლებაში არსებული არასწორი სტერეოტიპების წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მოზიდვას და პროფესიული განათლების მიმართ მზარდ ინტერესს. აღნიშული ღონისძიებების აქტიურად განხორციელების შედეგად, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღებისას მაღალი კონკურსი დაფიქსირდა, ხოლო რეგიონებში აქტიურად ითხოვენ სერთიფიცირებულ კურსებს.

დაწესებულაბამ წარმოადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმით;
- უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმით;
- 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექსპერტების მიერ პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაციები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. თანამდებობრივი ინსტრუქციები თან ერთვის შრომით ხელშეკრულებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის დებულებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით ;
- ხარისხის მენეჯერის და სტუდენტური კოორდინატორების დანიშვნის ბრძანებებით ;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ჰყავს 35 აქტიური პროფესიული სტუდენტი და 31 პროგრამის განმახორციელებელი პირი. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები და დადგინდა, რომ პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

დაწესებულება ითხოვს 96 პროფესიული სტუდენტის კვოტას, შესაბამისად თანაფარდობა იქნება 96/31=3/1;

ვიზიტის დროს გადამოწმდა შესაბამისი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამების რეესტრში, მოხდა გასაუბრება რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან.

<u>ვიზიტის დროს პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:</u> პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, იციან მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები, მათი ნაწილი მონაწილეობდა სტანდარტის შემუშავების და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის პროცესში. გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი მოდული სწავლების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ხელშეკრულებებით მომსახურების გაწევის შესახებ;
- ხელშეკრულებებით უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების შესახებ;
- პირადი საქმეებით;
- რექტორის ბრძანებით პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრით evet.emis.ge;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცედურა. მათი შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების თანახმად. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დაწესებულებას დადებული აქვს მომსახურების ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: რამოდენიმე პიროვნებასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო ამოწურული. ხელშეკრლებაში, მოქმედების ვადად მითითებული იყო კონკრეტული (წინა სემესტრში განხორციელებული) მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი. (იხ, დანართი 2).

დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს ექსპერტებს, რომ მომსახურების ხელშეკრულების წინასწარ დადება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან არ იყო მათთვის მიზანშეწონილი, ამასთანავე პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების მზაობის დასამტკიცებლად, მათ ექსპერტებს წარუდგინეს, პერსონალის მიერ ხელმოწერილი წინასწარი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი. (იხ. დანართი 3) გამომდინარე იქედან, რომ პერსონალი, რომლებთანაც დადებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა ამოწურული იყო, კანონის თანახმად, ვერ ჩაითვლება დაწესებულების მოქმედ პროგრამის განმახორციელებელ პირად. ამის გათვალისწინებით, ექსპერტებმა განუმარტეს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უმჯობესი იქნება შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირობები. ვიზიტის დასრულებამდე, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წამოუდგინეს განახლებული მომსახურების ხელშეკრულებები, დადებული პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

(იხ. დანართი 4)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ

- ხელშეკრულებებით მომსახურების გაწევის შესახებ;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	შრომის უსაფრთხოება და გარემო სდაცვითი ტექნოლოგიები	მეხუთე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში 0712	120	150	ქართული	ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9/ავლევის ქ. №21 ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2	35 ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9/ავლევის ქ. №21 ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2	96 ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9/ავლევის ქ. №21 ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. მასწავლებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
დანართი 3. თანხმობის წერილი;
დანართი 4. მასწავლებელთან გაფორმებული განახლებული მომსახურების ხელშეკრულება.

15/07/2019წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 01-02 ივლისი 2019 წ